ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება № 3400014

გაცემის თარიღი: 18/07/2017 გაცნობის თარიღი: 18/07/2017

განცხადების ნომერი: AR1521747

შემოსვლის თარიღი: 10/07/2017

შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.72.14.056.011
- მისამართი: ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , დიდი დიღომი
- ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო
- ფართობი: 500.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "უშბა 90" (201949990)

- საკადასტრო კოდი: 01.72.14.056.010
- მისამართი: ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , დიდი დიღომი
- ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო
- ფართობი: 500.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "უშბა 90" (201949990)

ნომენკლატურა :

- **მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები**
- **მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- გიორგი ჭუმბურიძე პ/ნ 01030013137
- მისამართი: დიღმის მას. IV/18/48

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 თებერვლის №3096282 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 10 ივლისს №AR1521747 განცხადებით მომართა გიორგი ჭუმბურიძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 თებერვლის №3096282 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 22 თებერვლის №3096282 ბრძანებით, №01.72.14.094.793 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (ფართობი: 2000 კვ.მ.) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით, საცხოვრებელი ზონა 5 (სზ–5)–ის პარამეტრებით და პირობებით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ამის შემდგომ, ცვლილება შევიდა ხსენებულ აქტში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა: სამი ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი. შემდეგ ისევ განხორციელდა ცვლილება და ობიექტად დაფიქსირდა ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.

ამ ეტაპზე განხორციელებულია საპროექტო მიწის ნაკვეთის გამიჯვნა ოთხ თანაბარი ფართობის (ფართობი 500 მ2) საკადასტრო ერთეულად. განმცხადებელი ითხოვს აღნიშნულ აქტში ცვლილების განხორციელებას ახალი საკადასტრო კოდების, ფართობების და ახალი ობიექტის- ოთხი ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის დასაფიქსირებლად. ამასთან წარმოდგენილია შენობების განთავსების სქემატური ნახაზი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნილი ცვლილებების ასახვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 თებერვლის №3096282 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ბრძანება

1 . შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 თებერვლის №3096282 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს: საკადასტრო კოდები N01.72.14.056.011 (ფართობი 500 მ2); N01.72.14.056.010 (ფართობი 500 მ2); N01.72.14.056.009 (ფართობი 500 მ2); 01.72.14.056.008 (ფართობი 500 მ2);

2 . ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 თებერვლის №3096282 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს: ოთხი ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი (თითო ნაკვეთზე თითო)

3 . ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 თებერვლის №3096282 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დამატებით დოკუმენტად დაემატოს 2017 წლის 10

ივლისს №AR1521747 განცხადებით წარმოდგენილი სქემატური ნახაზი;

4 . წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 თებერვლის №3096282 ბრძანებასთან ერთად;

- კითხვების შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ: მერიის ცხელ ხაზს 2722222, არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციას, ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს 2378346. ასევე მობრძანდეთ არქიტექტურის სამსახურის საკონსულტაციო ოთახში შარტავას ქ. #7 მერიის შენობა მეორე სართული ოთახი #9, ან რაიონულ გამგეობებში არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლებთან.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.